განვლილ ხუთშაბათს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის შეხვედრები.
„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მოსკოვი) 1:2 (1:0).
თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 15 ივნისი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი (ჩიქოვანი 73 წ.), ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (ფანცულაია, 82), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი).
მოსკოვი: ხარინი, ლოსევი, სკლიაროვი, მოხი, საბიტოვი, კობელევი, ერიომენკო (სმერტინი, 89), დერკაჩი, კოლივანოვი (ნეიმანი, 86), დობროვოლსკი, კირიაკოვი.

მსაჯი ტ. ბეზუბიაკი (ლენინგრადი).
გააფრთხილეს დერკაჩი, საბიტოვი (მოსკოვი), კაჭარავა, ცხადაძე (თბილისი).

მატჩის საანგარიშო წერილის დაწყებამდე გვინდა ორიოდე სიტყვით შევახსენოთ მკითხველს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ 15 ივნისის მეტოქეები საკავშირო ჩემპიონატში. სულ რაღაც ორი-სამი კვირის წინ ერთმანეთს რომ შეხვედროდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ თანაკლუბელები, ეს იქნებოდა აუტსაიდერთა რიგითი მატჩი, ვინაიდან მაშინ ორივე გუნდი სატურნირო ცხრილის ქვემო ნახევარში იმყოფებოდა, მაგრამ მოსკოვის დინამოელები 23 მაისს უკანასკნელად დამარცხდნენ ოდესის „ჩერნომორეცთან“ (1:2), თუმცა მომდევნო ტურებში გუნდმა მკვეთრად გააძლიერა თამაში და ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და ორივე დიდი ანგარიშით ერევნის „არარატთან“ – 6:1 და დონეცკის „შახტიორთან“ – 3:0. ზუსტად ამავე პერიოდში თბილისის „დინამომ“ ორი შეხვედრა წააგო „სპარტაკთან“ – 0:1 და „პამირთან“ – 0:1 და მხოლოდ ოდესაში აიღო ქულა (1:1). ე. ი. ამ პერიოდში მოსკოველები საბრძოლო ფორმაში შედიოდნენ, თბილისელები კი, რომლებსაც რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი აკლდათ, მხოლოდ ეძებდნენ თავიანთ თამაშს.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა ურთიერთობანი საკავშირო ჩემპიონატის მანძილზე ფეხბურთის მოყვარულს კარგად მოეხსენება. რა პოზიციაც უნდა ეკავოთ ძველ მეტოქეებს გათამაშების ცხრილში, მათი ერთმანეთთან შეხვედრები მუდამ გამოირჩევა უკიდურესი დაძაბულობით და, რა დასამალია, მოსკოველებს ჩვენთან დიდი უპირატესობა აქვთ. არც ერთ გუნდთან თამაში არ გვიჭირს ისე, როგორს მოსკოვის „დინამოსთან“. ეს უკვე ტრადიციულად ქცეული ამბავია ამ ორი გუნდის ისტორიაში.

XIV ტურის ეს შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვისა და ურთიერთ მოსინჯვის გარეშე დაიწყო. დაახლოებით 10-15 წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ უპირატესობა მასპინძლებმა აიღეს ხელთ, რაც დრო გადიოდა ისინი სულ უფრო ხშირად გადადიოდნენ მეტოქეთა ნახევარზე და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ ხარინის კართან. მართალია, მოსკოველთა მეკარეს უშუალო სამუშაო ნაკლებად ჰქონდა, მაგრამ დაცვითი რგოლის მოთამაშეებს კი მძიმე დატვირთვა აწვათ. ასეთ ხანგრძლივ დაწოლას არ შეიძლება გოლი არ მოჰყოლოდა და 31-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი კაჭარავამ თავით ზუსტად გაგზავნა სტუმართა კარში. მეკარე ხარინი ამ მომენტში კარიდან წინ გამოვიდა, მაგრამ კაჭარავამდე ვერ მიაღწია, ვერ შეუშალა მას ხელი, კარიც წამით დაუცველი აღმოჩნდა – 1:0.

თბილისელებს ტაიმის დასასრულამდე კიდევ ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი და სწორედ აქ იყო საჭირო მათი უპირატესობის რეალიზება. მაგრამ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

განახლდა ბრძოლა შესვენების შემდეგ და მყისვე შესამჩნევი შეიქნა, რომ მოსკოველებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თამაში. მათი თავდასხმის წამყვანი მოთამაშეებია კოლივანოვი და დობროვოლსკი და, თუმცა, კოლივანოვი ამ დღეს საიმედოდ იყო ჩაკეტილი, თავისი გადამწყვეტი სიტყვა დობროვოლსკიმ თქვა. ჯერ ოდნავ უკან, მინდვრის სიღრმეში დაიხია და აქ აიღო თავის თავზე დისპეტჩერის როლი, მაგრამ როგორც კი ბურთი მასპინძელთა საჯარიმო მოედანს მიაღწევდა, იგი სასწრაფოდ ერთვოდა იერიშში და ყველაზე სახიფათო ფორვარდის როლში გვევლინებოდა. სწორედ 50-ე წუთზე მიიღო მან შორეული გადაცემა და ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში – 1:1.

ამის შემდეგ ვითარება მინდორზე უკიდურესად დაიძაბა, მწვავე ბრძოლაში იშვიათი არ იყო წესის დარღვევა და ჯარიმებიც. თბილისელებს კვლავინდებურად უპირატესობა ჰქონდათ შუა მინდორზე, მაგრამ მათი კომბინაციები ხშირად იფუშებოდა მეტოქის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, მოსკოველები კი ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ მოწინააღმდეგე მცველთა შეცდომები. სტუმრების ერთ-ერთი იერიშისას გარღვევაზე გავიდა კირიაკოვი, ბურთისთვის ბრძოლისას ჩვენმა მცველმა იგი წააქცია, თუმცა ამ მომენტში, ვფიქრობთ, ასეთი უკიდურესი ზომა საჭირო არ იყო. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და დობროვოლსკიმ უშეცდომოდ შეასრულა დარტყმა – 2:1.

ეს უკვე მატჩის დასასრულს მოხდა, საფინალო სასტვენს სულ რამდენიმე წამი აკლდა და დროის ამ მცირე მონაკვეთში თბილისელებს მაინც მიეცათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა: მარცხენა ფლანგიდან მიწოდებული კუთხურისას მეკარესაც და მცველებსაც დაასწრო კაჭარავამ, თავით გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ იგი ძელს მოხვდა, თბილისელებმა ვეღარ შეძლეს თუნდაც ერთი ქულის ხსნა.

ამრიგად, თბილისის დინამოელებმა „ტრადიციული“ მარცხი განიცადეს მოსკოვის თანაკლუბელებისგან, თუმცა ამ დღეს წაგებისგან თავის დახსნა სავსებით შესაძლებელი იყო. და, ბოლოს, ლენინგრადელი არბიტრის ტ. ბეზუბიაკის მიმართ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ხასიათის შეცდომა დაუშვა და, საერთოდ, არაკვალიფიციურად იმსაჯა.

.... ივნისი, 1989 წ.